

სოციოლოგია I კურსი
(ეკონომიკა, სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები)
I,II სემესტრი. 2020-2021 წელი
(შუალედური გამოცდის ნიმუში)

Question 1

რას შეისწავლის სოციოლოგია?

Select one:

- a. საზოგადოების ცვალებადობის კანონებსა და ტენდენციებს;
- b. საზოგადოების რეგრესს;
- c. საზოგადოების მიერ შექმნილ მითებს.

Question 2

რომელი მეცნიერებათა შემადგენელ ნაწილად მოიაზრება სოციოლოგია?

Select one:

- a. ფილოსოფიურ მეცნიერებათა;
- b. ქიმიურ მეცნიერებათა.
- c. უფოლოგიურ მეცნიერებათა;

Question 3

რა სფეროებს იკვლევს კერძო სოციოლოგია?

Select one:

- a. ადამიანის ბიოლოგიურ დაავადებათა პრობლემებს;
- b. მხატვრული ლიტერატურის კრიტიკის პრობლემებს.
- c. ოჯახის, რელიგიის, ახალგაზრდობის, პოლიტიკური პარტიების პრობლემებს;

Question 4

რაში მდგომარეობს სოციოლოგიის ამოცანა?

Select one:

- a. თეორიული კვლევა და მოპოვებული მასალის პრაქტიკული რეალიზაცია.
- b. კოსმოსური სივრცეების კვლევა;
- c. ახალი ტრადიციების დამკვიდრების გზების ძიება;

Question 5

განვითარებულ ქვეყნებში რამ მოუპოვა წარმატებები და ავტორიტეტი სოციოლოგიას?

Select one:

- a. სოციოლოგიის ისტორიულმა ხასიათმა.

- b. ადამიანების ლტოლვას სიახლისადმი;
- c. სოციოლოგიის პრაქტიკულმა დანიშნულებამ;

Question 6

რაში მდგომარეობს სოციოლოგიის შემეცნებითი ფუნქცია?

Select one:

- a. ადამიანთა ინტელექტუალური განვითარების ხერხებს და მეთოდებს.
- b. იმაში, რომ იკვლევს საზოგადოების განვითარების კანონზომიერებას;
- c. იმაში, რომ იკვლევს ბავშვების აღზრდის კანონზომიერებას;

Question 7

რა იწვევს სოციოლოგიის პრაქტიკული ფუნქციის ზრდას?

Select one:

- a. ადამიანების ლტოლვა სიმდიდრისადმი;
- b. საზოგადოებრივი ცხოვრების კომპიუტერიზაცია.
- c. თანამედროვე რთული საზოგადოებრივი ურთიერთობები;

Question 8

რაში გამოიხატება ბიოლოგიური მიმართულების არსი სოციოლოგიაში?

Select one:

- a. სოციოლოგიის მიერ ბიოლოგიური ორგანიზმების კვლევაში;
- b. საზოგადოებაში მოქმედი კანონების ბიოლოგიის კანონებთან გაიგივებაში;
- c. ბიოლოგიური კანონზომიერების უარყოფაში.